შეთანხმება

ქ. თბილისი 2 თებერვალი 2016წ

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯს „ მერმისი“ და შპს „პოლიგრაფისტი” შორის 2016 წლის 26 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის №19 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

ერთის მხრივ, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პოლიგრაფისტი” წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი თევდორაშვილის სახით მხარეთა შორის 2016 წლის 26 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის №19 ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.5 პუნქტის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის 26 იანვრის N58786 წერილის (კერძოდ, დიპლომის ნიმუშში საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდებაში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დამატებასთან დაკავშირებით) საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2016 წლის 2 თებერვლიდან შეწყდეს მხარეთა შორის 2016 წლის 26 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის №19 ხელშეკრულება.
2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2016 წლის 26 იანვარის სახელმწიფო შესყიდვის №19 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და დამოუკიდებლად იურიდიული ძალა არ გააჩნია.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და დაბეჭდილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი ორგანიზაცია:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი “მერმისი”	შპს „პოლიგრაფისტი”
დირექტორი	დირექტორი
ნ. ღუდუშაური	ი. თევდორაშვილი